გულის კამერების დილატაციის დროს ავადმყოფი იღებს შემდეგ მდებარეობას:
გადმოხრილია წინ
ზის და ფეხები ჩამოშვებულია იატაკზე
წვება მარცხენა გვერდზე
წვება მარჯვენა გვერდზე

მწვერვალოს საძგერი შეიძლება გადაიწიოს მარცხნივ:
მარჯვენამხრივი ექსუდაციური პლევრიტის დროს
მარცხენამხრივი ექსუდაციური პლევრიტის დროს
ფილტვების ემფიზემის დროს
პნევმოსკლეროზის დროს

აორტის ანევრიზმის განშრევების დროს ტკივილი:
მწვავეა, მგლეჯავი ხასიათის და გადაეცემა ხერხემალში
ყრუ ხასიათისაა გულის არეში და ძლიერდება ფიზიკური დატვირთვის დროს
მწვავეა, ლოკალიზდება მთლიანად გულის პროექციაზე, ძლიერდება მოძრაობის და ფონენდოსკოპის დაჭერის დროს
შეტევითია, ძლიერი ინტენსივობის, მოჭერითი ხასიათის მკერდის ძვლის უკან ან გულის არეში